

გაიცანით კომუნიკატორის მენტორები:

### **ლევან ლევსვერიძე**

ლევანი საკუთარი დროის უმეტეს ნაწილს ლივინგსტონს ახმარს. 5-წლიან პერიოდში, თავის პარტნიორებთან ერთად, ლევანმა მოახერხა რეგიონში ყველაზე აღიარებული კრეატიული სააგენტოს შექმნა. მისი კრეატიული დირექტორობის პერიოდში, სააგენტომ 59 საერთაშორისო ჯილდო მოიპოვა, მათ შორის - კანის ლომი.

### **ია ნინოშვილი**

ია ფორსეტის ილუსტრატორ-დიზაინერია. ის დაზგურ გრაფაზე სწავლობდა სამხატვრო აკადემიაში. ია ფიქრობს, რომ საყვარელი საქმიანობა რუტინად რომ არ გექცეს, მუდმივად უნდა იყო სიახლეების ძიებაში, არამარტო პროფესიული თვალსაზრისით, არამედ პიროვნულადაც. იას ეშინია კოლეგების ჩაცმის და შეხებისაც კი.

### **ნინო მაჭარაშვილი**

ნინო ფორსეტის განვითარების დირექტორი, Data Science Tbilisi-ის შეხვედრების თანაორგანიზატორი და Digital Communication Network-ის პრეზიდენტი. ნინოს ყველაფერი უყვარს, რაც მონაცემებსა და კომუნიკაციებს ეხება. მისი ყველაზე დიდი ტალანტი ისაა, რომ ტალანტი არ აქვს.

### **თეონა თომაშვილი**

თეონა მკვლევარი და პროექტების მენეჯერია ფორსეტში და ქვეყნის ელჩი Digital Communication Network-ში. ის საერთაშორისო ურთიერთობებს სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მას უყვარს მონაცემები, პოლიტიკა და კომუნიკაციები. თეონას სურვილია, რომ მისი საყვარელი ფეხბურთის გუნდის თამაშს დაესწროს ოლდ ტრაფორდზე და შეხვდეს ჯასტინ ტრუდოს.

### **ნინო დალაქიშვილი**

ნინო დალაქიშვილმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, აქვს ჟურნალისტად მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება, მათ შორის ტელე, რადიო, ბეჭდურ და ელექტრონულ მედიაში, ასევე თანამშრომლობდა ომბუდსმენის ოფისთან შიდა ქართლის რეგიონში. უკანასკნელ შვიდ წელზე მეტია ნინოს ხმა ამერიკის ხმის ნაწილია. მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებები, ღირსება და პატივისცემა ყველა მიმართულებით მნიშვნელოვან და დომინანტურ პოზიციას უნდა იკავებდეს. ნინოს ორი შვილი ჰყავს. მარტოხელა დედობის ტვირთი არაა იოლი, თუმცა ცდილობს საინტერესო და აქტუალური მოვლენების ეპიცენტრში ყოფნას.